



სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი: დასავლურ პოლიტიკურ ძალებს მოვუწოდებთ შეწყვიტონ მტრული გამობტომები პატრიარქ კირილეს წინააღმდეგ



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 21.07.2022. დასავლეთის ქვეყნების მტრულ პოზიციაზე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მიმართ, თავის პირად განცხადებაში 2022 წლის 15 ივლისს ყურადღება გაამახვილა იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ. მღვდელთმთავარმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა:

წმინდა ქალაქ იერუსალიმში ჩვენ წუხილს გამოვთქვამთ და ვგმობთ დასავლეთის პოლიტიკური ძალების ქმედებებს, რომლებიც მიმართულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი წინამძღვრის – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს წინააღმდეგ.

ახლახან კანადამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესი პატრიარქის კირილეს სახელი იმ პირთა სიაში შეიტანა, ვის წინააღმდეგაც სანქციებია გამოცხადებული. ეს უკანონო დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერაც არის მხარდაჭერილი. ამგვარ ქმედებას ჩვენ ერთი დიდი გეგმის ნაწილად აღვიქვამთ, რომელიც მიმართულია მართლმადიდებელი ეკლესიის როლისა და ავტორიტეტის შესუსტებაზე, მისი სულიერი მისიის წინააღმდეგ თანამედროვე სამყაროში და იმ მორალური ფასეულობების განადგურებაზე, რომლებსაც ის ქადაგებს.

როგორც ჩვენ ადრე განვაცხადეთ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული პროვოკაციები – ეს არის პროვოკაციები სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთის პოლიტიკურ ძალებს, შეწყვიტონ მსგავსი სახის მტრული გამობტომები უნმინდესი პატრიარქის კირილეს წინააღმდეგ. ის არ წარმოადგენს პოლიტიკური კონფლიქტის რომელიმე მხარეს, არამედ მომხრეა მშვიდობიანი დიალოგისა.

ჩვენ, იერუსალიმის ეკლესიაში, მყარი კავშირები გვაქვს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან; ის იმყოფება წმინდა მინაზე – მისი ტაძრები მდებარეობს იერუსალიმსა და სხვა ადგილებში. ეს მოწმობს რუსი მართლმადიდებელი მორწმუნეების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას წმინდა მინასთან მიმართებით, რომელიც არის ქრისტიანობის აკვანი და უდიდესი სინმინდეების საუნჯე.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი წინამძღვრისადმი სრული მხარდაჭერით, ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს კატეგორიულად უარყოფით პოზიციას ყველა იმ პროვოკაციებისა და უმართებულო ქმედებებისადმი, რასაც დასავლეთი მათი მისამართით ახორციელებს. ეს დასავლური ძალა, რომელიც ქებას ასხამს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, და იმავდროულად მხარს უჭერს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და სხვა ისეთ რამეებს, რომელთა მოწონება და შეწყნარება შეუძლებელია ადამიანური ცნობიერებით, დღეს უკვე თავს ესხმის პატრიარქ კირილეს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული შვილების სულიერ მწყემსს როგორც რუსეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ჩვენ თხოვნით მივმართავთ ყველა ოფიციალურ ეკლესიურ ლიდერს, მხარი დაუჭიროს ჩვენს პოზიციას ყველა იმ ქმედების დასაგმობად, რომლებიც მიმართულია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წინააღმდეგ. ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს ომის შესაწყვეტად როგორც უკრაინაში, ისე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში; მშვიდობისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად წმინდა მინაზე და განსაკუთრებით, წმინდა ქალაქ იერუსალიმში, რათა ჩვენი პალესტინელი ხალხი დამსახურებული თავისუფლებაში და კეთილდღეობაში ცხოვრობდეს.

ჩვენ რწმენას გამოვთქვამთ, რომ დასავლური ძალების მიერ განხორციელებული პროვოკაციები ვერ შელახავს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესი პატრიარქის მაღალ ავტორიტეტს რუს ხალხსა და მთელს მის სამწყსოში, რომელიც სულიერად მისგან იკვებება აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე.

ჩვენ იმედით შევყურებთ უკრაინის ეკლესიის საკითხის ირგვლივ ანტიკანონიკური ქმედებების შედეგად მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით წარმოშობილი უთანხმოებისა და განხეთქილების დარეგულირების

შესაძლებლობას სიყვარულისა და სიბრძნის სულისკვეთებით. მართლმადიდებელი ეკლესია დღეს განსაკუთრებით საჭიროებს სულიერი ლიდერების სიბრძნეს, რომლებსაც შეუძლიათ ინიციატივით გამოვიდნენ იმ რთული სიტუაციის დასაძლევად, რომელშიც ის აღმოჩნდა. განსაკუთრებით მტკივნეული საკითხი, უსწრაფეს გადაჭრას რომ მოითხოვს, არის ევქარისტიული კავშირის შეწყვეტა რუსეთისა და კონსტანტინეპოლის ორ და-ეკლესიას შორის.

მე კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა რწმენა იმისა, რომ კეთილი განზრახვის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა და ნებისმიერი უთანხმოება შეიძლება გადაწყდეს დიალოგის ნარმოების გზით. ვსასოებთ, რომ დღეს არსებული ყველა უთანხმოება გადაჭრილი იქნება, რამეთუ ჩვენ ერთი ეკლესია ვართ და ჩვენი რწმენა ერთია. ჩვენ ერთი სიყვარულით უნდა გავერთიანდეთ და ეკლესიის ერთი სხეული უნდა ვიყოთ. სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში სულ უფრო ვრცელდება ათეისტური ტენდენციები მიმართული ანტიქრისტიანული კულტურის დასამკვიდრებლად და ენინააღმდეგება ქრისტეს ეკლესიის მიერ ქადაგებულ მორალურ ფასეულობებს, რომელთა დასაცავადაც ვართ ჩვენ მოწოდებულნი.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/89479/>